**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# მონაგები

მონაგები, ძველი ქართული სამართლის ტერმინი. სანივთო სამართალში **მ.** იყო ყოველგვარი საკუთრების – მოძრავი თუ უძრავი ქონების ერთობლიობა, რაც შრომა-გარჯით მოპოვებული, ანუ მოგებული შენაძენი იყო. **მ.** შეიძლება „ნასყიდიც“ ყოფილიყო. ცოლ-ქმრის საკუთრება მამულთან და დედულთან ერთად შედგებოდა **მ**-გან. ეს ქონება მემკვიდრეობით გადაეცემოდათ და არასადავო ქონებად იყო მიჩნეული.

**მ.** გვხვდება საღმრთო წერილის ქართულ თარგმანში, ასევე იოანე საბანისძის „აბოს წამებაში“ და სხვ. გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ **მ.** ნახსენებია როგორც მთელი მოძრავი ქონება, რ-იც მემკვიდრეებს გადაეცემოდათ: „მშობელთა მონაგები შვილთა განუყვიან“.

*ლიტ.*: დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი გ., ქართული ჩვეულებითი სამართალი – ქართველოლოგიური იურიდიული დისციპლინა, სახალხო თვითმმართველობა საქართველოში, თბ., 2007; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 7, თბ., 1984.

***ი. უჯმაჯურიძე***